საქართველოს მელიორაცია
GEORGIAN AMELIORATION

+995 032 00 10 00
info@ag.ge
www.ag.ge

N გ-12318
20/09/2024

12318-გ-2-202409201711

**სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტის უფროსს ქალბატონ ვენერა მეტრეველს**

**ქალბატონო ვენერა,**

შპს ,,საქართველოს მელიორაციამ“ (შემდგომში კომპანია) განიხილა თქვენი 2024 წლის 4 სექტემბრის N21/9462 წერილი, რომელიც ეხება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვარი (ს5) საავტომობილო გზის თბილისი-ბაკურციხის მონაკვეთის პირველი ლოტის (თბილისი-საგარეჯოს აღმოსავლეთი ნაწილის) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნების მოწოდებას.

გაცნობებთ, რომ წერილზე თანდართული კორესპონდენციის თანახმად, კომპანიის 05.06.2024 წლის Nგ-1763 წერილის პირობების პასუხად სსდ საავტომობილო გზების დეპარტამენტს განმარტებული აქვს, რომ ,,კონტრაქტორი ფლობს ინფორმაციას პროექტის სიახლოვეს მდებარე სარწყავი სისტემის გამანაწილებელი არხების შესახებ. სისტემაზე ზემოქმედება არ ივარაუდება და ასეთის არსებობის შემთხვევაში მიღებული იქნება ყველა ზომა ნებისმიერი უარყოფითი გავლენის მინიმუმამდე შესამცირებლად. ჩამდინარე წყლების ჩაშვება მხოლოდ შეთანხმებულ წერტილებში მოხდება და ფუჭი ქანები კი განსაზღვრულ სანაყაროებზე განთავსდება“

გაცნობებთ, რომ სამელიორაციო სისტემების ჰიდრავლიკური პირობები გათვალისწინებულია საირიგაციო დანიშნულებით წყლის გატარებაზე. ამასთან, კომპანიას სემეკის რეგულაციების თანახმად ეკისრება წყალმომხმარებლებისთვის შესაბამისი ხარისხის წყლის მიწოდების ვალდებულება. შესაბამისად დაუშვებელია სამელიორაციო ინფრასტრუქტურაში ჩამდინარე წყლების მოხვედრა, რის გამო კომპანია წყლის ჩაშვების წერტილებს ვერ შეითანხმებს.

05.06.2024 წლის Nგ-1763 წერილის პირობების გათვალისწინებით, კომპანიას სკრინინგის ანგარიშთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები არ გააჩნია.

პატივისცემით,
გიორგი ხუბუა

ექსპლუატაციის დირექტორი

https://edocument.ge/mea/public/#/12318-გ-2-202409201711

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE